



ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალზე - Job Fest რეგისტრაცია დაიწყო

25 ივნისს, ვაკის პარკში, ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი Job Fest გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 70-ზე მეტი დამსაქმებელი და 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და კურსდამთავრებულები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი Job Fest მიზნად ისახავს დამსაქმებლების და ახალგაზრდების დაკავშირებას, დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობას.

JOB fest-ში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ მისამართზე: www.jobfest.ge. ასევე: სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში (სამუშაო დღეებში 10:00 -17:00 სთ). რეგისტრაცია 23 ივნისს 24:00 სთ-მდე გაგრძელდება.

მუშაობის/სტაჟირების მსურველ ახალგაზრდებს, www.jobfestge -ზე სახელის, გვარის, პირადი ნომრის, პირადი ელექტრონული ფოსტისა და საკონტაქტო ინფორმაციის შევსება მოუწევთ. www.studentjob.ge - ზე კი, კატეგორიაში **Job Fest** - შესაძლებელია ფესტივალში მონაწილე კომპანიებისა და პოზიციების წინასწარ გაცნობა და ფესტივალზე შერჩეულ კომპანიებთან მიზნობრივად მისვლა და გასაუბრება.

რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში ახალგაზრდა დასაქმების ფესტივალზე დასასწრებ ელექტრონულ JOB fest-ის ბარათს მიიღებს. ბარათის წარდგენა ფესტივალზე შესაძლებელია როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით.

ახალგაზრდები ფესტივალზე უნდა გამოცხადდნენ JOB fest-ის ბარათით; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და პირადი რეზიუმეთი cv (რამდენიმე ეგზემპლარით).

დარეგისტრირებული და ფესტივალზე მისული ახალგაზრდები კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციებზე დამსაქმებელების მიერ შეირჩევა.

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და გაესაუბრონ. გარდა ამისა, პარკის ერთ ნაწილში მოწყობილი იქნება – „**წარმატების კუთხე**“. აქ 2-3 საათის განმავლობაში შესაძლებელი იქნება, მოწვეული სპიკერების გამოსვლების მოსმენა კარიერულ ზრდაზე, მოტივაციაზე, წარმატებაზე, კარიერის დაგეგმვაზე და ა.შ. „წარმატების კუთხეში“ მოხდება ახალგაზრდების შეხვედრები სპიკერებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან კითხვა-პასუხის ფორმატში. ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი JOB fest - ყოველწლიურად გაიმართება.

ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი Job Fest საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და HR hub-ის ორგანიზებით იმართება.

ფესტივალის თანაორგანიზატორები არიან: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი და პროექტი – „ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერა საქართველოში“ (YES Georgia), რომელსაც ახორციელებს ფონდი კრისტალი PH International-თან და მისო კრისტალთან ერთად usaid-ის ფინანსური მხარდაჭერით.

მხარდამჭერები არიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, პალიტრა მედია ჰოლდინგი და წყალი სნო.

გისურვებთ წარმატებას!